ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7857390

ნომერი: AR11134458

თარიღი : 19.03.2026

გაცემის თარიღი : 25.03.2026

გაცნობის თარიღი : 25.03.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვლადიმერ უგრეხელიძის ქუჩა, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე ღვინჯილია პ/ნ 19001097637
- თბილისი, მუხრან მაჭავარიანის 20გ

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 10 მარტის №7837567 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 19 მარტს №AR11134458 განცხადებით მომართა კონსტანტინე ღვინჯილიამ და მოითხოვა სამსახურის 2026

წლის 10 მარტის №7837567 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 10 მარტის №7837567 ბრძანებით, №01.14.03.040.544 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (B-2) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 10 მარტის №7837567 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობი 24808.8 კვ.მ-ის ნაცვლად არის 24808.9 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 7965.9 კვ.მ-ის ნაცვლად 7966.0 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 3980.5 კვ.მ-ის ნაცვლად 4091.0 კვ.მ., დამხმარე ფართობი 288.1 კვ.მ-ის ნაცვლად 322.5 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 10092.6 კვ.მ-ის ნაცვლად - 10095.2 კვ.მ. (შეტყობინება 20.03.2026წ.), ხოლო, საერთო ფართობი 48802.6 კვ.მ-ის ნაცვლად 48950.3 კვ.მ.(შეტყობინება 20.03.2026წ.). შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომების გასწორება.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები და გეგმა-ნახაზები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, შეთანხმებული ±0.00, +3.00, +54.60, +67.80, +71.10, +74.40 და +87.60 ნიშნულების გეგმები არ იცვლება, აღნიშნული ნიშნულების წარმოდგენილ გეგმებზე ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 10 მარტის №7837567 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 10 მარტის №7837567 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 24808.9 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 7966.0 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 4091.0 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 322.5 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 10095.2 კვ.მ., საერთო ფართობად - 48950.3 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 10 მარტის №7837567 ბრძანებით შეთანხმებული ±0.00, +3.00, +54.60, +67.80, +71.10, +74.40 და +87.60 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 10 მარტის №7837567 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 10 მარტის №7837567 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.